



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27. 27230585

თარიღი:27/02/2023

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 08

27 თებერვალი 2023 წ.

ქ. თელავი

**თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის შესაბამისად,

1. გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე დასავლეთით მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 100 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.20.31.052);
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

